# სახალხო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

**ხელის-მოწერა მიიღება.**

თფილისს «სახალხო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:

*Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОИ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и к°)*

№ 5 შაბათი | IV | 15 მარტი, 1871 წ.


**შინაარსი**

ამხანაგობის მალა:—რა გზით შეიძინება მიწა წყალი.—ახალი მხედრობის რიგი.—სელი და კანაფი—საერო შკოლებზე საფრანგეთში.—ციმბირის ჭირი.

## ამხანაგობის მალა

### რა გზით შეიძინება მიწა-წყალი?

III

გნახოთ ჯერ რა წესი და წყობილება დაუარსებია ამ საგანზე ჩვენ კანონს, გლეხების განთავისუფლების დროს.

ამ საგანზე გამოცემულია ცალკე «დებულება» (*Положеніе о выкупѣ*), რომელიც დამატებულია გლეხების განთავისუფლების კანონებზე.

ამ დებულების ძალით, თუ მებატონე და გლეხკაცები დათანხმდენ და ერთმანერთს ფასში მორიგდენ, გლეხებს ნება ეძლევათ გამოიყიდონ მებატონიდგან არათუ მარტო ეზო და სახნავ—სათესი ადგილები, მაგრამ სხვა მიწებიც, რომლის შეყიდვაზე მებატონე დათანხმდება, და, ზოგიერთ შემთხვევაში, გლეხ-კაცობას ამ შეყიდვაში მმართებლობაც ეხმარება.

«შეყიდვის დებულება» აწესებს, სახელდობრ, რომ ყოველ გლეხს, ცალკე, შეუძლია მოურიგდეს ამ საგანზე თავის მებატონეს, და გადაწყვიტოს, მისი თანხმობით, შესასყიდველი მიწის ფასი და ამ ფასის გადახდის დრო და წესი.—სწორეთ ამნაირათვე შეიძლება მოურიგდეს მებატონეს მთელი ერთი სოფელი, იმ ადგილებში, სადაც რუსეთში საზოგადო (*общинное*) მიწის მფლობელობაა; ამ შემთხვევაში მებატონედან მიწას ერთბაშათ მთელი სოფელი იხსნის, და მერმე გლეხებს შუა ჭყოფს, დაწესებული რიგით. ამას გარდა კანონს მესამე წესიც გაუხსენებია: მებატონედან მიწის დახსნა შეუძლიან, არათუ მარტო ცალკე პირებს, ან მთელ სოფელს ერთათ, მაგრამ რამდენიმე ცალკე გლეხებსაც. ერთმანერთის [illegible] ზობით, რომ ამით უფრო მეტი ნდობა იშოვონ მებატონესაგან («შესყიდვის დებულების» ოცდა მეთოთხმეტე (34) მუხლი, შენიშვნით).

კანონი აწესებს, რომ გლეხებს, როგორც ცალკცალკე, ისე ამხანაგობით ანუ და მთელი სოფლით, შეუძლიანთ მოურიგდენ მებატონეს და ის ფასი დაჭპირდენ მიწაში, რაც კი ჭკუაში ორივე მხარეს დაუჯდებათ. იმათ ისეთი ხელწერილით შეუძლიან შეეკრან მებატონეს, რომ გადასახადი ფული ან მთლათ ერთიანათ შეიტანონ, ან და რამდენიმე წლის განმავლობაში იხადონ ცალ ცალკე ან ერთმანერთის თავდებობით და ერთად, როგორც ამ საგანზე ისინი მებატონესთან მორიგდებიან.—ეს საქმე სრულიად ერთმანერთთან მორიგების, დათანხმების საქმეა.

მაგრამ, რადგანაც, ერთის მხრით, მებატონეებს ფული სჭირიათ, და მეორეს-მხრით გლეხ კაცობას ერთბაშათ ფულის გამოღება არ შეუძლიან, კანონი იმასაც აწესებს, რომ, როცა გლეხები და მებატონე ერთმანერთს მიწის შესყიდვაზე და ფასზე მორიგდებიან და ამ საგანზე მთავრობას განცხადებას მისცემენ, თვითონ მართებლობა ფულს გამოიღებს, რომ მიწის ფული მებატონეს ერთბაშათ მიეცეს, და მერმე, რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს ფული ცოტ-ცოტათ გლეხებს გადასდევს, თავისი სარგებლით.

მაგრამ რამდენი ფული უნდა გამოიმეტოს ამ საქმეზე თვითონ მმართებლობამ, რამოდენა დახმარება უნდა მისცეს იმან გლეხ-კაცობას? რასაკვირველია, რომ მიწამოკლებულმა, გაჭირვებულმა გლეხებმა ერთი [illegible] ფასი, მმართებლობა ამ ფულს არ გამოიმეტებს. ამის გამო ესვე კანონი იმ ზომასაც აწესებს, თუ რამდენი დახმარების მიცემა შეუძლია მმართებლობას გლეხ-კაცობისთვის, მებატონებიდან მიწის შესყიდვის დროს.

ამ ზომათ კანონს ის გადასახადი მიუღია, რომელიც ესლა დაწესებულია მორიგების პირობით (უსტავნი გრამოტით) «ნადელის» გულისთვის. ვთქვათ, ესლა, ერთ გლეხს თავის ნადელის შესყიდვა ჭსუჩს, რომელშიაც ის ესლა, უსტავნი გრამოტის ძალით, წელიწადში, ვთქვათ, ერთ მანეთს იხდის.—კანონი აწესებს, რომ ამ შემთხვევაში, თუ გლეხმა ამ ნადელის შესყიდვაში მებატონე დაითანხმა, მმართებლობამ ნადელის ფასათ თექვსმეტ და ორ მესამედ ჯერ აღებული ნადელის ქირა უნდა მიიღოს, ესე იგი ის მიწა, რომელიც, ვთქვათ, ნადელში ყოველ წლით თითო მანეთს იხდის, ნაანგარიშებული უნდა იყოს თექვსმეტ მანეთათ სამ აბაზათ და შვით კაპეიკათ.—ამ ფულიდან მმართებლობა პირდაპირ აძლევს მებატონეს ოთხ მეხუთედს, ესე იგი მანეთში ოთხ აბაზს, ან, თექვსმეტ მანეთ

და ცამეტ შაურ ნახევარში — ცამეტ მანეთს და ოცდა თოთხმეტ კაპეიკზე ცოტა ნაკლებს.

მაგრამ, ადვილათ შესაძლებელია, რომ მებატონეს ეს დაფასება სულ არ აძლევდეს, რომ ის თავის მიწას, რომელიც ეხლა ნადელა დანიშნულია, ამ ფასზე უფრო მეტათ ანგარიშობდეს, და ივითონ გლეხებიც იმ აზრის იყვნენ, რომ ეს მიწა უფრო ძვირათ ღირს, და გლეხობას ხელს მისცემს მასში მეტი ფასის გაცემა. ამ შემთხვევაში კანონი გლეხ-კაცებს ნებას აძლევს, მმართებლობისაგან დაწესებული ფასის გარდა, მეტი ფული ან წინდაწინვე მისცე-მებატონეს, ან და პირობა დაუდვან შემდეგში გარდახ-დისა. ამ მომეტებულ ფასისთვის (*дополнительная плата*) მმართებლობას არაფერი საზღვარი არ დაუდვია, მაგრამ კანონი პირდაპირ კი აწესებს, რომ ამ მომეტებული ფასის გადახდას ის არ იკისრებს და არც თავდებათ დადგება მის გადახდაშიო. — მმართებლობა მხოლოდ იმ ფულს მისცემს წინდაწინვე, რომელიც, მისი ანგარიშით, საკმაოა მიწის შესასყიდველათ.

ამგვარათვე ისიც შესაძლებელია, რომ ნადელის ქირა ეხლანდელ გრამოტებში ცოტათი მომეტებული იყოს დაწესებული, და თვითონ მებატონეც და-[illegible] მმართებლობის ანგარიშით გამოდის. ამ შემთხვევაში კანონი აწესებს, რომ შეიძლება, მებატონეს სრულიად მთელი მორიგებული ფასიც ერთბაშათ მიეცესო, თუ ეს ფასი მმართებლობისაგან ნაანგარიშევ ჯამს არ გადაემეტებაო.

მაშასადამე, თუ გლეხ-კაცი მებატონეს მიწის ფულში მოურიგდება, და მათი მორიგების განცხადება მთავრობას წარედგინება, მებატონეს შეეძლება მმართებლობისაგან მიიღოს ცამეტნახევარჯერ იმდენი ფული, რამდენიც ეხლა იმას ნადელში უხდის გლეხი და დანარჩენ ფასს, — თუ მართლა მისი მიწა უფრო მეტათ ღირს, — გლეხი ზოგს წინდაწინ მისცემს და ზოგს თამასუქით, ან სხვა ნაირ პირობით, რამდენიმე წლის განმავლობაში გადაუხდის.

მმართებლობა ამ საქმეს ისეთ სასარგებლო საქმეთ სთვლის თვითონ მებატონეებისთვის, რომ მისი აზრით შეიძლება, რომ მებატონეებმა თვითონ ითხოვონ, მიწის შეყიდვის ინება გვსურს გლეხებისთვისო. ამ თხოვნას მმართებლობა ისეთ მნიშვნელობას აძლევს, რომ მაშინვე თავის ანგარიშისამებრ მებატონეს სვედრ ფულს უნიშნავს და გლეხებს იმ ფულს ვალათ აწერს, რადგანაც მიწა მაშინვე გლეხების საკუთრებათ ჰხდება.

რადგანაც გლეხებისგან მიწის შეყიდვას ძლიერ ბევრი ფული დასჭირდებოდა, ამიტომ რომ ეს საქმე სასრულეში მოიყვანონ, მოხერხებულია ისეთი საქმე, რომ მიწის შეყიდვა არც მმართებლობას გაუძნელდეს არც მებატონეებისთვის დარჩეს სავნებელათ. — ამ საქმისთვის გაჩენილია სახელმწიფო ბანკის ბილეთები (ჩვენში რომ სერიებს უძახიან) და საკუთრივ მიწის შეყიდვისთვის დამზადებული შეყიდვის მოწმობები; ამ ქაღალდებს თავთავისი სარგებელი (კუპონები) ეძლევათ, წელიწადში მანეთზე ერთი შაური, ასე რომ მებატონე, რომელიც, ფულის მაგიერ, ამ ქაღალდებს იღებს, თავის ფულის სარგებელსაც არ კარგავს და ამ ქაღალდების გაყიდვა და გასაღებაც შეუძლია, თუ დასჭირდა. რომელ მებატონესაც ათას მანეთზე ნაკლები აქვს მისაღები მიწის ფასი, ის სრულებით სერიებით მიიღებს ამ ფულს. და დანარჩენი ფულიდან ზოგი ამნაირივე სერიებით ეძლევა და ზოგი «შეყიდვის მოწმობებით.»

ეხლა ვნახოთ, რა ნაირათ ასდევნებს გლეხ-კაცს ამ ფულს მმართებლობა, და რა რიგათ სდება საქმე ისე, რომ ყველა მხარე დაუჩაგვრელი და დაკმაყოფილებული დარჩეს.

ყოველ მანეთზედ, რომელიც მმართებლობას მიწის შეყიდვაში მებატონისთვის მიუცია, გლეხ-კაცმა უნდა ისადოს წელიწადში ექვსი კაპეიკი, იმდენ ხანს, სანამ მისი წილი ვალი არ გადაიხდება თავის სარგებლით. ვთქვათ, მაგალითად, რომ რომელიმე გლეხის ნადელის შესასყიდველათ მმართებლობას მიუცია მებატონესთვის ათი თუმანი. გლეხმა ექვს ექვსი მანეთი უნდა ისადოს წელიწადში ჩვიდმეტი წლის განმავლობაში. რაგინდ დიდი იყოს მმართებლობისაგან გაცემული ფული, ის უნდა გადაისადოს ორმოცდაცხრა წლის განმავლობაში.

გლეხ-კაცებს ნება აქვთ, თუ თავიანთი მიწის ვალისგან გათავისუფლება ჰსურთ, შეიტანონ დაწესებულ ფულებზედაც მომეტებული, მაგრამ შეტანილი ფული თუმანზე ნაკლები არ უნდა იყოს; ანგარიშის გასაადვილებლათ დაწესებულია, რომ ეს ფული თუმნობით უნდა შეიტანონ, და არა მეტნაკლებათ, ესე იგი ერთი, ორი, სამი, ოთხი თუმანი, ან მეტი. ამ ნაირათ შეტანილი ფული გლეხ-კაცს შემდეგი წლების გარდასახადში ჩაეთვლებათ.

შემდეგ ნომერში დაწვრილებით მოვიყვანთ, თუ რა ნაირი წესი დაუდვია კანონს ამხანაგობების შედგენისთვის და მებატონესთან მორიგებისთვის.

ნ. სკანდელი.

---

# ახალი მხედრობის რიგი.

## სამხედრო მინისტრის მოხსენებიდგან გამოკრეფილი ამბები.

სამხედრო მინისტრმა მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, რომ რადგან ამ ჟამათ მეტი არ შეიძლება ისე მალიან დიდი ჯარები გამოაწყვეს ევროპის სახელმწიფოებმაო და ამას გარდა ისეთი წესი აქვთ, განსაკუთრებით გერმანიის მხედრობას, რომ უეცრათ შეუძლიან საომრათ გამოეწყონ და ბრძოლაში დაკლებული კაცები ნაცვლად შეავსონ სულ ახალ ახალი მხედრობითა, ამისთვის საჭიროაო ჩვენც ისეთი საშუალებ ვიპოვოთ, რომ ჩვენი სამხედრო ღონის მიება გაუთანასწორდეს ახლანდელს სამხედრო-მდგომარეობას ევროპის სახელმწიფოებისას.

***

ამ განზრახვის ასასრულებლათ მინისტრმა შეადგინა ორი წერილი: «ჩვენი სამხედრო-ღონის გაძლიერებაზე» და «უმთავრესი საფუძველი, იმისა, თუ რაზე უნდა მდგომარეობდეს პირადი სამხედრო-ვალდებულობა.» ზემოხსენებულს ორ წერილებში გამოთქმული მოსაზრება აი ესენი არიან:

1, ევროპის პირველს სახელმწიფოებს რომ საშინელი დიდი ჯარები ჰყავს, იმას რომ შეუთანასწორო რუსეთის ახლანდელი სამხედრო ძალა სრულებით ა[illegible] იქნება საკმაო, ვინიცობაა იმათთან რომ ომი აუტყდეს.

2 რადგან უსაცილოთ საჭიროა სამხედრო ძალში გათანასწორება ევროპის სახელმწიფოებთან, ამისთვის ევროპის რუსეთის ყველა ახლანდელი სამხედრო ჯარები საბრძოლათ უნდა იყოს მარტო დანიშნულნი და ამის მეტი სხვა მოვალეობა არა ჰქონდეს[illegible] (მაგალითად იმათი მოვალეობა აღარ უნდა იყოს მაზრების ან ციხეების დაჭერა, გზების თვალ-ყურის გდება, ან ბარგის გაყოლა, ეტაპების გამართვა და სხვა) და მეორეთ თავის დროზე ამ ჯარების გაძლიერება, როგორც რიგია ისე სამედოთ უნდა იყოს განწესებული, თორემ ახლა რომ ბმოლის წესია, იმაგამო ჯარები მალიან მალე შემცირდებიან ხოლმე.

ეს გარემოება ითხოვს საკმაოთ დიდი მისამატებელი ჯარების გამართვას.

3. ამასთან ოპოლჩენიიდგან ჯარები გაკეთებული საკმაო არ არის. ახალ დროების ომიანობამ ცხადათ დაამტკიცა, რომ ოპოლჩენია მაშინ არის კარგი, როცა საერო ომი გაიმართება და თავის სახლ-კარის ან მიწა-წყლის დაცვა მოუნდებათ ერს, მაგრამ იმას არ შეუძლიან ნასწავლი ჯარის მაგიერობა, რადგან ოპოლჩენიამ სამხედრო ხერხის არა იცის რა და არც აქვს გულ-მაგარი მხედრული სიმხნევე, ამისთვის ბრძოლაში ისინი სულ უბრალოდ აკლავენ მტერს თავს და ვერც ასრულებენ იმათზე მინდობილს სამხედრო მოქმედებას, მხოლოდ ისინი იქნებიან საიმედონი გაწვრთნილ ჯარისთვის, რომელთაც დაუყვიათ რამდენიმე ხანი ჯარში და იქ უვარჯიშნიათ, მხოლოდ ისინი არიან ჯარის გამაძლიერებელნი, შემდგენელნი ცალკე რაზმებისა და სამხედრო მოქმედების ამსრულებელნი, რომელიც ითხოვს ჯარის კაცებისაგან გამოცდილებას და სამხედრო რიგისგვარათ ასრულებას. ამისთვის მისამატებელ ჯარის შესადგენათ სამხედროთ უნდა გამოეწვიონ მრავალი ჯარში ნამსახური კაცები.

4. ამისთანა მისამატებელი ღონე შეიძლება მხოლოთ ერთი გზით გაკეთდეს: ყოველ წელს ჯარის კაცების მოკრეფით სამხედრო სამსახურის ვადის შემოკლებით იმ კაცებისთვის რომელთაც ჯარში უმსახურნიათ.

5. მაგრამ უფრო და უფრო ბევრი ჯარის კაცების მოკრეფა მხოლოდ ხარჯის მძლეველ წოდებიდგან, ანუ უკეთ ვთქვათ გლეხობიდგან, ერისათვის ძალიან გასაჭირი იქნებოდა და ყოველ შემთხვევაში იმისგან კარგი გაწვრთნილი ჯარი მაინც ვერ შედგებოდა, რადგან იმაში არ იქნებოდენ რამდენიც საჭირო, იმდენი განათლებული კაცები.

მაშ უეჭველათ საჭიროა, რომ სამხედრო სამსახური ყველას ვალდებულებათ შეიქნეს, რადგან უიმისოთაც ყოველი რუსის ქვეშევრდომის წმინდა მოვალეობაა სამშობლოს დაცვა.

6 ამ ვალდებულების შემოღების შემდეგ (პირველ — დროებაში მაინც) საზოგადო სამხედრო სამსახურის ვადა თუთხმეტი წელიწადი უნდა დარჩეს; მაგრამ ნამდვილი სამსახურის ვადა მხოლოდ შვიდი წელიწადი უნდა იყოს, ამასთანავე წყობაში თითოეულმა იმათგანმა ხუთი ან ექვსი წელი უნდა გაატაროს, დანარჩენ დროს კი დროებით შინ უნდა დაითხოვონ.

ამ შემთხვევაში საკმაო იქნებოდა ყოველ წლობით ასში ოცდა ხუთი ახალ გაზდა თითო ოც — ოც და ერთი წლის, გამოიყვანონ, რომ სამხედრო წყობისთვის თან და თან გაკეთდეს მეტად ვრცელი მისამატებელი ჯარი ძველი ჯარის კაცებიდგან, როგორც სამხედრო შტატების შესაკრებათ ისე ღონიერი მისამატებელი ჯარის შესადგენათ.

7 იმავე ვალდებულებით უნდა შესდგეს საჭირო მისამატებელი აფიცრებისა და სხვა სამხედრო თანამდებობის კაცების წყობა: ამ განზრახვით ყველა ახალგაზდა კაცებს, რომელნიც კი საჭიროთ განათლებულნი იქნებიან, ჩვიდმეტი წლიდგან დაწყებული უნდა მიეცესთ სამხედროო სამსახურში შესვლის ნება, მოკლე სამსახურის ვადით; ამის შემდეგ როცა ეგზამენს დაიჭერენ, იმათ შეეძლებოდათ აფიცრის ჩინის მიღება, ან მოქმედ ჯარში სამსახურისთვის, ან მისამატებელ ჯარში დასარჩენათ.

8 თვითონ სამხედრო სამსახურის ვალდებულება უფრო სამართლიანათ და თანასწორათ უნდა დაედვას ყველას. სამსახურიდგან სრულებით განთავისუფლება იმათ შეუძლიანთ, რომელნიც ბუნებით არ არიან იმისთვის გამოსადეგნი, დანარჩენნი ყველანი უნდა იყვნენ სამხედრო სამსახურის მოვალენი და თუ არც სარაზმო ჯარში მოხვდენ, არც ფლოტში, მაშ ისინი მზათ უნდა იყონ ოპოლჩენიაში წასვლისთვის, სახელმწიფო თუ ამას საჭიროდ ჩასთვლის. მაგიერი კაცის ჩაყენება, ან თავის შესყიდვა არ უნდა იყოს, რადგან ეს წინააღმდეგია საზოგადო სამხედრო ვალდებულებისა, მაგრამ ოჯახის სარჩენათ, ერის განათლების წარმატებისთვის, და საერო ოჯახებისა და მოხელობის სასარგებლოთ, დროებით შეიძლება განთავისუფლდენ სამხედრო სამსახურისგან, იმგვარათვე, როგორც უცხო ქვეყნებშია.

9) რაკი სამხედრო სამსახური საზოგადო-მოვალეობათ ჰხდება, რაც მხედრობას დასჭირდება, ფულის ხარჯიც საზოგადო უნდა იყოს და ეთხოვებოდეს ზოგი სახელმწიფო ხაზინას და ზოგი სახელმწიფო და გუბერნიის ერობისაგან მოკრეფილი ფულიდგან.

10) მისამატებელმა ჯარმა რომ თავის აფიცრებით და მხედრობით დაჭირვების დროს მოიტანოს დიდი სარგებლობა, უეჭველათ საჭიროა, რომ წინდა-წინვე მიეცეს ამ ღონეს მკვიდრი დაწყობილება შიგ რაზმების გამართვით. ამასთანავე უნდა შეინიშნოთ, რომ მისამატებელი ჯარის გაძლიერება ყოველ გვარ იარაღის ჯარისთვის არ არის თანასწორათ საიჭირო, ცხენოსან ჯარისთვის, ცხენოსან არტილერიისთვის და ინჟინრების ნაწილისთვის მაგდენათ საჭირო არ არის მისამატებელი ჯარი, მაგრამ ქვეითი რაზმებისთვის და ქვეითი არტილლერიისთვის კი მეტი არ შეიძლება ისე საჭიროა. ომიანობის დროს იმათგან არამცთუ მარტო დასტა ჯარები უნდა შედგეს არამედ მთელი პოლკები და დივიზიები თავისი არტილერიით და სრული მოწყობილობით. იმათ აგრეთვე [illegible] გარნიზონები უნდა გააკეთონ ციხეებისთვის.

11) ამისთანა პოლკების გაწყობა სრულებით თავისუფლათ უნდა მოხდეს და ისე უნდა ასწავლონ, რომ ყოველგვარ დაჭირებისთვის გამოსადეგნი იყვნენ, მხოლოდ ერთი რომელიმე დაჭირებისთვის ამგვარი ჯარის გაწვრთნა უნაყოფოც იქნება, ამიტომ რომ — ომის დროს ძალიან ჩქარა აკლდება სხვა და სხვა რიგის ჯარებს, ასე რომ არ იცის კაცმა სად უფრო დასჭირდება მიშველება. ამ ჯარსა და ნიადაგს ჯარს შუა არაფერი კავშირი გამგეობაში არ უნდა იყოს, თორემ ეს საქმეს კიდეც გააძნელებს.

12. მისამატებელი ჯარი ისე უნდა გაკეთდეს, რომ მშვიდობიანობის დროს ხაზინას ზურგზე არ აწვეს მომეტებულ უქმათ მყოფის მხედრობის რჩენითა.

ამ განზრახვით ადგილობრივს ჯარებს ისეთი დაწყობილება უნდა მიეცეს, რომ ჯარის კაცები თავის ოჯახობის საქმეებსაც არ მოსცდენ, ასრულებდენ მხედრობის მოვალეობას, ციხეებში გუშაგათ (ყარაულათ) უნდა იდგენ, ახალგაზდობას ასწავლიდენ სამხედრო საქმეს და ომიანობა რომ გაიმართება, მაშინ უცებ უნდა გამოეწყონ სალაშქროთ თავის მოწყობილობით ყოვლის უკლისათ.

ზოგი ამ გამოწყობილი დასტა ჯარებთაგანი შეადგენს მოძრავს სამხედრო ძალას, ესე იგი პოლკებს, ან დასტებს, სამგზავროდ ქვეითს ჯარს, ან ცხენოსანს ჯარს, რომელიც დანიშნული იქნება ბრძოლაში დასხოცილების შესავსებათ.

* * *

13 მშვიდობიანობის დროს მისამატებელი ჯარი თუმცა სამუშაოთ უნდა იყოს შინ დათხოვილი, მაგრამ ამასთანავე იმათ იქვე თავის მახლობლათ უნდა ჰქონდეთ შენახული ყველა სამხედრო იარაღები თუ მართლა ვინიცობაა უცბათ დასჭირდათ ლაშქარში წასვლა. ამისთვის სადაც დასტა ჯარის მოსაგროვებელი ადგილი იქნება, იქ უნდა ჰქონდესთ შენახული საჭირო იარაღი და სადაც რამდენიმე რკინის გზები შეიყრებიან ერთად, იქ ყოველთვის საკმაოთ დამზადებული უნდა იყოს ბარგი და ბარგის გადასატანი მოწყობილობა.

14. ტაკტიკაში (სამხედრო ხერხის ხმარებას) სწავლისთვის მშვიდობიანობის დროსაც უნდა შეკრბენ ხოლმე ჯარის კაცები მოკლე ხნით ვარჯიშობისთვის. —

## სული და ვანაივი

წინა პირველათ, როცა კაცს მოხერხება არ ჰქონდა, რასაც კი იპოვიდა ბუნებაში, ყველას ტანისაცმელათ

ხმარობდა, მაგალითად ზოგიერთს ხის ფოთლებს და სხვ. ეხლა კი ამისთანა სამოსელს ხმარობენ მარტო ზოგიერთი ველური ხალხები ცხელ ქვეყნებში. ცივი ქვეყნის მცხოვრებლები იფარვიდნენ თავის თავს ყინვისა და სისველისაგან მხეცების ტყავებით. ბოლო დროს დაიწყეს ხოლმე ტყავების კეთება, ბეწვებიდგან, ანუ მატყლიდგან ძაფის რთვა, ტილოსა და სხვა და სხვა ფართლის ქსოვა და თოკების წნა სხვა და სხვა მცენარების ლაფანიდგან. რა მცენარებსაც ამაებისთვის ხმარობენ, იმათ ეძახიან სელს, კანაფს და ბამბას.

***

სელი ძლიერ სასარგებლო მცენარე არის, როგორც მისთვის რომ იძლევა სართავს ძაფს, ისე იმისათვის, რომ მისი თესლებიდგან მზადდება ზეთი. ეს არის ერთ წლოვანი მცენარე და აქვს მარტო თითო ღერო, რომელიც სიმაღლით და სიმსხოთიც სხვა და სხვა ნაირად იზრდება სხვა და სხვა ნიადაგზე და — ჰაერში. წინა პირველი სამშობლო ამ მცენარისა უნდა იყოს შუა აზია, საიდგანაც ის გადვიდა დიდი ხნიდგან და გავრცელდა ევროპაში და სხვა ქვეყნებშიდაც. სელის ყვავილებს აქვთ მშვენიერი ნათელმტრედის ფერი, ამათგან კეთდება ბოლო დროს პატარა რგვალი ხოკი, რომელიც არის სავსე დარიჩინის ფერის თესლებით. თვითონ ღერს აკრავს გარედგან გრძელი ლაფანის ძარღვები (ბოჭკოები). ამ ძარღვების მოსაშორებლად სხვა ნაწილებისაგან, სელს ჯერეთ მოუყრიან თავს, დააყრევინებენ თესლიან ხოკებს, შემდგომ მას ასველებენ, ჩეჩქვენ, ძაძკენ და ვარცხნიან სანამდის არ მიიღებენ წმინდა ძაფებს, რომელსაც ეძახიან ქულას.

***

ყველაზე უფრო სელის კეთება გავრცელებულია ირლანდიაში, საიდგანაც მოდის საუკეთესო წმინდა სელის ძაფი; ირლანდიის შემდეგ — ფრანციაში და რუსეთში. უფრო ნაკლებად მოჰყავთ და აკეთებენ იმას ბოგემიაში, სილეზიაში, მორავიაში, ვესტფალიაში, საქსონიაში და შვაბიაში. სელი არის ორნაირი, რომლებთაგან ერთი მეორეზე უფრო ადრე შემოდის და ძაფსაც ბევრათ უფრო წმინდას იძლევა. ამ ნაირ სელს სთხრიან იმ დროს, როცა ნახევარ სიმწიფეში იქმნება, რომ თესლებმა არ მოასწრონ დამწიფება და არ დასცვივდნენ. საზოგადოთ ერთს და იმავე დროს არ შეიძლება წმინდა ქულის მიღება და სასარგებლო თესლებისაც, ამიტომაც ძაფისათვის ცალკე იწევენ სელს და თესლებისთვის ცალკე, ესე იგი როცა უნდათ, რომ თესლები კარგი იქნენ ზეთისათვის, მაშინ სელს თხრიან უფრო გვიან, როცა კარგა დამწიფდებიან იგინი; იმ შემთხვევაში კი, როცა უნდათ, ძაფი კარგი გამოვიდეს უფრო ადრე თხრიან, რომ ძარღვები ძლიერ არ გახმქლდნენ, როგორც თესლები, იმრე ძაფები ბევრ სარგებლობას აძლევენ პატრონს.

სელს ალბობენ მისთვის, რომ უფრო ადვილათ მოაშორონ ბოჭკო ღეროებს. აი, ამის თვის ალპობენ სელის ღეროებს, ძაფები კი უვნებელად რჩებიან ამ დროს. სელის დალბობა შეიძლება ორ ნაირად ც ვ რ ი თ და წ ყ ლ ი თ. ცვარით ალბობენ ამ ნაირათ: მოლზე გააწყობენ გამშრალ სელს და დასტოვებენ ცვარში წვიმაში 2 ანუ 4 კვირას, მერმეთ გადააბრუნებენ და კიდევ ამდენ ხანს დააცლიან გარეთ, სანამ სრულებით არ დალბება. შემდგომ ამისა გაუყრიან სელასელა თავს, შეკვრენ კონებათ და შეინახვენ მშრალ ადგილს. ეს საშუალება ვერ არის სრულებით საიმედო, ამიტომ რომ ამ გვარათ სელის დალბობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხშირი წვიმები იქნება და ცვარსაც ყოველ ღამეს საკმაოდ სდებს, ამიტომ ამ საშუალებას წყლით დალბობა ბევრათ სჯობია. ეს მდგომარეობს მასში, რომ კონებად შეკრულ სელს ჩასდებენ გაჩერებულს, ანუ ოდნათ მიმდინარე წყალში და ზევით დააწყობენ ქვებს. ამ გვარათ დასტოვებენ მას წყალში ანუ 7 დღეს, შემდგომ ამოიღებენ, გააწყობენ მინდორში და დასტოვებენ 8 ანუ 14 დღემდის, მერმეთ აიღებენ და შეინახვენ, როგორც პირველ შემთხვევაში. არის მესამე საშუალებაც სელის დასალბობათ, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც შემოიღეს. ამ საშუალებას ჰქვია ც ხ ე ლ ი წ ყ ლ ი თ დ ა ლ ბ ო ბ ა, და მდგომარეობს მასში, რომ დიდრონ როფებში (გრძელ ვასრებში) ჩადებენ სელს, დაასხმენ მდუღარე წყალს და დასტოვებენ ასე ათი საათის განმავლობაში; შემდგომ ამოიღებენ და გააშრობენ.

გაშრობა სელისა შეიძლება მზეშიდაც და საშრობი მაშინითაც. შეიძლება ერდოში და ფეჩზე გახმობა, მაგრამ ძლიელ ყურის გდება უნდა, ამიტომ რომ ის ან ნამეტანი გახმება და თავის კარგ თვისებებს დაკარგავს, ან კიდევ შეიძლება დაიწვეს. შემდგომ გაშრობისა სელს ჩეჩქვენ, ძაძკენ და ვარცხნიან სელის საჩეჩელათი. ამ გვარათ მიიღებენ ხოლმე უმქისო და გაწმენდილ ძაფებს.

***

გერმანიაში მაგ. ერთ მორგ ადგილზე (დესეტინის მეოთხედია) თესვენ ასს და ორასს გირვანქამდის სელის თესლს და ეს ადგილი იძლევა სარგებელს ორას ორმოცდაათ გირვანქამდის ქულას და ამდენსავე თესლს. როცა მარტო თესლისათვის სთესვენ სელს, მაშინ საკმაო 70 გირვანქა რომ დათესონ, მაგრამ მაშინ კი როცა ძაფისათვის თესვენ ორას გირვანქამდის მაინც უნდა დათესონ, თუ ჰსურთ, რომ წმინდა ქულა გამოვიდეს.

***

სელს ვპოულობთ თითქმის ყოველ ნაირს ჰავაში და ყოველ ჰავის ქვეყნებში, მაგრამ მას ეშინია ზამთრის ყინვისა. ყველა ადგილზე უფრო კარგა ხარობს ღრმა, მსუქან და განსაკუთრებით ახალ ნიადაგზე. ითხოვს ერდგულ მოვლას, ამიტომ რომ ყოველთვის მოაშორონ მას მავნებელი ბალახები, რომ იმით არ დაჩაგრონ. ამბობენ, ვითომც სათესავად ის თესლი სჯობდეს, რომელსაც დიდი ხანი დაუყვია საროში; მაგრამ სელის სიკეთე უფრო კარგ გაშრობაზე არის დამოკიდებული, და მისი თესლი ორ წელიწადზე მეტი არ უნდა შეინახონ. საუკეთესო სელის თესლი გამოაქვთ რუსეთიდგან, სახელდობ რ ი გ ი დ გ ა ნ, ვ ი ნ დ ა ვ ი დ გ ა ნ, ლ ი ბ ა ვ ი დ გ ა ნ და სხვ. სელის თესლებიდგან სწურვენ სელის ზეთს, რომელსაც ხმარობენ ოჯახში სასატავად, საპონის და ლაქის მოსამზადებლად და სხვ. მსუქან ზეთს გარდა სელის თესლებში — არის მრავალი ლორწოიანი ნივთიერებანი, რომელნიც გამოდის მაშინ, როცა იმათ წყალს დაასხმენ. ეს ლორწოიანი ნივთიერება რჩება სელის კაკლებში შემდგომ ზეთის გამოხთიის და შეადგენს ძლიელ მრთელს და მარგებელ საკვებს პირუტყვებისათვის, და ეგრეთვე იხმარება წამლათაც.

***

წინაპირველათ სელს ართავდნენ ხელით თითისტრებზე და სართავი თვლებით. 1840 წლიდგან შემოიღეს ორ თვლიანი სართავები, რომლებითაც ორჯერ მეტს ართავდნენ ერთს და იმავე დროს, ვიდრე ერთ თვლიანი სართავით. ამ უკანასკნელს დროში კი გაზშირდა მრავალს ადგილს ახალი მოგონებული სართავი მაშინების ხმარება. რომ სელმა ფასი ბევრათ დაიკლოს, მაგრამ ესკია, რომ მაშინით დართულს, ხელით დართულ სელს ამჯობინებენ. მის დასამტკიცებლათ თუ როგორ წმინდათ ირთვება სელის ქულა, შეიძლება უჩვენოთ ეს მაგალითი: 1758 წ, შვეციაში ერთმა შული ძაფმა (ნართავმა), რომელიც სიგრძით 2230 ადლი იყო, ერთი ლოტას (3 მისხალის) მეტი ვერ აიწონა.

***

სელის ნართავს ხმარობენ ძაფად, ტილოს, მაქმანების (კრუჟევას) საქსოვათ და სხვ. ბევრი იცვამს სელის, ტილოს ტანთსაცმელს ამიტომ, რომ ბამბისას იმას ამჯობინებენ, რადგანაც ის ბევრათ უფრო გამძლეა უკანასკნელზე. სელის ტილო ბამბის ტილოზე უფრო ძვირია, და ამიტომ ხანდა-ხან ბამბიდგან ქსოვენ იმას ისრე, რომ სელის ტილოდგან ვერ გაარჩევს კაცი და ატყუილებენ მყიდველებს. იმას ისრე ვერ იცნობს კაცი, თუ მიკროსკოპი არ აქვს; ამითი კი ადვილათ შეიძლება მისი ცნობა, ამიტომ რომ სელს

სხვა ნაირი ბეწვები აქვს და ბანბას სხვა, რომლის გარჩევა ლიტონი თვალით ძნელია.

კარგ ტილოს შეეტყობა სიწმინდით, სისწორით (სიმტკიცით) და სითეთრით, ამ გვარი ტილოს მოსაქსოვათ რასაკვირველია საჭიროა, რომ ჯერეთ დაირჩიონ წმინდა ძაფი და მერმე გაათეთრონ.

⁂

ტილოს გათეთრება არ არის ადვილი საქმე: ის მდგომარეობს მასში, რომ მოაშორონ მას როგორმე ძნელი მოსაშორებელი მოყვითლო—ნაცრის ფერი. ამისთვის ხმარობენ ორ საშუალებას, პირველი საშუალება, რომელსაც უფრო ხშირათ ხმარობენ ამგვარია: პირველათ გარეცხენ ტილოს ნაცარ-ტუტაში, მერმეთ გაუშვებენ მზეში და დაასხმენ ხშირათ წყალს. ყველაზე უფრო კარგი დრო ამისათვის არის გაზაფხული და ზაფხულდობ მაშინ, როცა ვაშლის ხეები აყვავდებიან.

⁂

მეორე ნაირად ტილოს ათეთრებენ ქლორის კირით (საფთაქშია), რომელსაც ის თვისება აქვს, რომ გამოაქვს ფერნარეული ფერი, თვითონ ნაქსოვს კი არაფერს აკლებს. ამგვარ გათეთრებას მზეში გათეთრებაზე უფრო ნაკლები ცოდნა და შრომა უნდა, მაგრამ მაგიერათ ამ საშუალებით უფრო მალე თეთრდება. ამ საშუალებას ხმარობენ აგრეთვე კანაფის და ბანბის ტილოს გასათეთრებლათაც. მთელი პროცესი არის შემდეგი: პირველათ ტილოს გამოხარშვენ რამდენჯერმე ნაცარ-ტუტში, მერმეთ გაუშვებენ იმას ერთ დღეს ბალზე, წყალს კი არ დაასხმენ; შემდეგ ჩასდებენ იმას 12 ან 24 საათის განმავლობაში წყალში, რომელსაც ურევენ იქიდგან გოგირდუჟ სიმჟავეს, რომ წყალმა მიცეს მომჟავო გემო. ამ მოხსენებული ხნის შემდეგ გარეცხენ და ხელახლა გამოხარშვენ, მერმეთ დაასველებენ ცოტა გახსნილი ხლორული კირით, ბოლოს გარეცხენ და გააშრობენ მას. ამ გვარი გათეთრების დროს შეიძლება წახდეს ტილო, თუ ძრიელ სიფრთხილით არ მოეპყრენ. ყველაზე უფრო კარგი ტილო არის გოლანდიური ტილო.

⁂

### კანაფი

კანაფს, როგორც რომ სვიას, აქვს გაყოფილი და განცალკევებული ღეროებზე გამოსხმული მამრობითი და მდედრობითი ყვავილები; მაგრამ კანაფი კი ერთ წლოვანი მცენარეა, ამიტომ ყოველ წელიწადს ხელახლა ითესება. მამალი კანაფები დედალ კანაფზე უფრო ადრე შემოდიან, ამიტომ იმათ უფრო ადრეც თხრიან მიწიდამ. კანაფს განსაკუთრებით სთესვენ მისი ლაფნის მარცვლებისათვის, რომლიდგანაც ამზადებენ ისრე როგორც სელისაგან, ნამამს (пеньку), რომლის ძაფები განსხვავდებიან თავისი სიმაგრით და სელის ძაფემზე ბევრათ უფრო მსხვილი არიან. კანაფის ნამამიდგან ქსოვენ ტილოს, იალქნებს, და აგრეთვე სწნიან თოკებს. კანაფის კაკლებიდგან სწურვენ კანაფის ზეთს, რომელსაც ხმარობენ, როგორც საჭმელში, ისე სანათად და საღებავების და ლაქის მოსამზადებლად, მარცვლებს ხმარობენ აგრეთვე ფრინველების საკვებად; მას კი, რაც შემდგომ ზეთის გამოხდისა რჩება, აჭმევენ სხვა პირუტყვებს.—დაუმწიფებელ კანაფს ისეთი მაგარი სუნი აქვს, რომ იქ, სადაც ის იზრდება თუ ვინმე დაიძინა, თავი ატკივდება და მოწამლულის ნიშნებიც გამოაჩნდება. ამ უკანასკნელ დროში გამოაჩინეს ერთი მცენარე ახალ გოლანდიაში, რომელსაც მანილიის კანაფს ეძახიან, და მისი ნამეძიდგან ქსოვენ ტილოს, რომელსაც უმეტესად ხომალდების იალქნებისათვის ხმარობენ. ამ მცენარის ძაფებს 5-ს ფუტამდის სიგრძე აქვთ, მაგრამ მსხვილები არიან. კანაფს ეკუთნის აგრეთვე ესრეთ წოდებული თ ე თ რ ი კ ა ნ ა ფ ი, რომელიც ძრიელ ბევრი მოდის ჩინეთში და ოსტ-ინდიაში. ის იძლევა ძრიელ წმინდა და მაგარ ძაფებს, რომლებიდგანაც ქსოვენ ტილოს, რომელიც ბატისტს (მადარმარქს) ჰგავს.

---

## საერო შკოლებზე

### შედგენილი უფ. კარნოს წესდება საფრანგეთში.

თუმცა უფალი კარნო ცოტა ხანს იყო საერო-განათლების მინისტრათ, ნაპოლეონ მესამის წინათ რომ რესპუბლიკა იყო საფრანგეთში იმ დროს, მაგრამ ამ მოკლე დროს განმავლობაშიც იმდენი კარგი ღონისძიება მოიხმარა იმან, რომ რაც ის მინისტრობიდგან გადააყენეს საერო განათლების საქმე უკან თუ წავიდა, თორემ წინ აღარ წასულა. კარნომ თავ ის მოსაზრება ერის განათლებაზე წარუდგინა საერო კრებას 1848 წელს და თუმცა კრებას არც განუხილავს და არც დაუმტკიცებია, მაგრამ ეს მოსაზრებანი ისე გონებიანათ და დიდი ჭკუით იყო შედგენილი, რომ აქამდის საფრანგეთის მთავრობას არ დავიწყებია და, როცა ნაპოლეონ მესამე აღარ ზის ტახტზე, ახლანდელმა მთავრობამ თითქმის სრულად მიიღო მხედველობაში საერო-განათლებისთვის კარნოს მოსაზრება, რომელიც ამ ოცდა ორის წლის წინათ იყო შედგენილი და აქამდის ეს მშვენიერი მოსაზრება მტვერისთვის მიეცათ შესაჭმელათ.

⁂

კარნოს მოსაზრებით საერო პირველ დაწყებითს შკოლაში მარტო კითხვა და წერა, სამშობლოს ენა და ცოტა ანგარიში კი არ უნდა ესწავლებინათ, არამედ შკოლა დასრულებულს სოფლის ყმაწვილებს უნდა სცოდნოდათ უმთავრესნი ბუნების მეცნიერების სწავლანი, მაგალითად უმთავრესი ნაწილი ფიზიკისა, მეურნეობის და მოხელობისა, ხაზვა, სიმღერა და მოკლე ისტორია და გეოგრაფია თავისი სამშობლო ქვეყნისა, აგრეთვე სწავლება ყმაწვილისა თუ რაში უნდა მდგომარეობდეს სიმართლე და მოვალეობა კაცისა და სამშობლოს მემკვიდრისა, ან როგორ წამატებით უვლია კაცის გათავისუფლების, თანასწორების და ძმობის აზრს.

⁂

კარნოს მოსაზრებით ამ პირველ დაწყებითი საერო შკოლებში მოწაფეებმა უფასოთ უნდა ისწავლონო და ყველა მოწაფენი უნდა გახდენ სწავლის ვალდებულნიო. პირველ დაწყებითი საერო შკოლების მასწავლებელნი უნდა დაემტკიცებინა მინისტრს, როცა თემების რჩევანი წარუდგენდენ, ესა და ეს კაცები გამოდგებიან მასწავლებლებათაო, მასწავლებელნი ოთხ ნაწილათ გაიყოფებოდენ და დეპარტამენტის ანუ მაზრის ას მასწავლებელში ათი იყო პირველი ხარისხის მასწავლებელი, ოცი მეორე ხარისხისა; ოცდაათი მესამე ხარისხის და ორმოცი მეოთხე ხარისხისა. იმათ ყოველწლობით უნდა სძლეოდათ საზინიდგან ჯამაგირი მეოთხე ხარისხისას თოთხმეტი თუმანი ჯამაგირი, მესამე ხარისხისას ოცი თუმანი, მეორე ხარისხისას ოცდა-ხუთი თუმანი და პირველი ხარისხისას ოცდა-ათი თუმანი. ამას გარდა მინისტრი ურჩევდა იმ თემებში, რომლებშიაც ხუთი ათასი სულია, მცხოვრებრიცხვის შედარებით მასწავლებლებს მისცემოდათ დამატებითი ჯამაგირი ხუთი თუმნიდგან მოკიდებული ორმოცდა-ხუთ თუმნამდის.

⁂

თუ დედა კაცები იქნებოდენ მასწავლებლათ, იმათ უნდა დანიშნოდათ ჯამაგირი თორმეტ თუმან ნახევარი, შვიდმეტ თუმან ნახევარი, ოცი თუმანი და ოცდა-ხუთი, დამატებითი ჯამაგირი მიეცემოდათ კაცების მასწავლებლების ორი მესამედი. ყოველი თემი, რომელშიაც სამას სულზე ნაკლები არ ცხოვრობდა, ვალდებული უნდა ყოფილიყო შკოლის სახლი აეშენებინა და აგრეთვე მასწავლებლის ქალის, ან კაცის სადგომი. პირველ დაწყებითს შკოლებზე, რომელნიც კერძო პირებს უნდა გაეღოთ, ფიქრობდენ ამ ნაირი წესი შემოეღოთ: ვისაც რიგიანი მოწმობა აქვს ცოდნაში, ყველას შეუძლიან შკოლის გამართვა, მხოლოდ უნდა განუცხადოს კი აკადემიის რექტორსა, მაგრამ შკოლაში მხოლოდ ერთი სქესის შაგირდებს უნდა ასწავლონ, ან ქალებს, ან კაცებს. რომელნიც დათხოვნილი იყვნენ საერო შკოლების მასწავლებლო-

ბიდგან, იმათ შკოლის გახსნის ნება არ ჰქონდათ, რომელნიც შვილებს შკოლებში არ გზავნიდენ და შინ არ მისცემდენ სწავლის ღონის მიებას, იმ დედმამებს ჯარიმას ახდევინებდენ.

*
* *

თემში იყო კამიტეტი გამართული, მაზრაში გაიმართებოდა ერთი შუაგული კამიტეტი, რომელიც უნდა ყოფილიყო მაზრის ქალაქში და სამასწავლო რჩევა, აგრეთვე პირველ დაწყებითი შკოლების ინსპექტორებიც იყო დანიშნული, სადაც პირველ დაწყებითი შკოლები სულ ამ ზემოხსენებული დაწესებულებების ხელში იყო. ყოველ მაზრაში უნდა დაენიშნათ ამისთანა ინსპექტორი, თითოს უნდა ხმლეოდა ჯამაგირი ხუთასი მანეთი წელიწადში. სადაც ორმოცი ათას მცხოვრებლებზე მეტი იქნება იმ ქალაქში ასეთი პირველ დაწყებითს შკოლების ინსპექტორს უნდა ჰქონოდა დამატებითი ჯამაგირი ოცდა-ხუთმეტ თუმნამდის. ინსპეკტორები უნდა ამორჩეულიყვნენ მხოლოდ პირველი ხარისხის მასწავლებლებისგან, ისინი გალდებულნი უნდა ყოფილიყვნენ წელიწადში ორჯერ მაინც დაესხედათ თავის მაზრის შკოლები, ყოველ აკადემისთან უნდა ყოფილიყო ერთი უმთავრესი ინსპექტორი პირველ დაწყებითი შკოლებისა, ამ მთელ გამგეობის უფროსათ პარიჟში უნდა ყოფილიყო ოთხი გენერალ—ინსპეკტორები.

რაც ზემოთ ითქვა, იმ მოსაზრების ასასრულებლათ მინისტრი ითხოვდა ორმოცდა შვიდს მილიონს.

## ციმბირის ჭირი

ციმბირის ჭირი არის ერთი იმ გამჟლეტი და გადამდები ავათმყოფობათაგანი, რომელნიც საშინლათ აცოტავებენ ჯოგებს. ამ ჭირის გაჩენის წინაღმდეგ, ჩვეულებრივ, არამც თუ რამე საშუალებებს ხმარობდენ, მის გაჩენის შემდეგაც არ ეშურებიან იმის მოკვეთას. მაგრამ ჯოგების პატრონები, რომ იცნობდენ ამ ჭირს, და ხმარობდენ საშუალებებს, მის გაჩენისა და გავრცელების წინააღმდეგ, მაშინ უეჭველათ იმათ არ მოუვიდოდათ ამდენი ზარალი და აოხრება.

*
* *

ციმბირის ჭირი ყველა ცხოველებს ემართებათ, ხან და ხან კაცებსაც გადაედებათ ხოლმე; მაგრამ ეს ჭირი უფრო მცოხნელ და ბალახის მჭამელ პირუტყვებს ხდევს. მაგ. რქიან პირუტყვებს ცხენებს და ღორებს, ამათ შიდაც ნამეტნათ ეკიდება მამალ საშუალო ხნის და მსუქან პირუტყვებს, ხორცის მჭამელ პირუტყვებსაც ემართება ჭირი, მაგრამ მცირათ.

*
* *

ციმბირის ჭირი ძალიან ადვილათ იცვლება, ასე, რომ, არამც თუ სხვა და სხვა გვარი ცხოველები, ერთი და იმავე გვარის ერთი და იგივე საქონელი, მაგალითათ ცხრები, რომელთაც ეს ჭირი აქვთ შეყრილი, წარმოგვიდგენენ, სულ სხვა და სხვა გვარ თვისების ავათმყოფობას. ამ ავათმყოფობას, რომელსაც ძალიან ჩქარა სიკვდილი მოსდევს, მოჰყვება განსაკუთრებითი ანთების მუწუკები და სიმსივე, რომელნიც, უსათუოთ მალე გადიქცევიან უგრძნობელათ. ეს მუწუკები გამოუვათ გარეთ ტანზე. შიგნით ხან და ხან ანტონის ცეცხლის გაჩენაც მოსდევს.

მუწუკები სიდიდით კი ხმიდის კაკლის სისხოდან კაცის თავის სისხო და ხან უფრო მეტიც გაეზდებათ ხოლმე,

მუწუკები და გამობერილნი, რომელნიც მოჰყვებიან ციმბირის, ჭირს სხვა ყველა მუწუკებიდან, შემდეგით გაირჩევა;

1) ეს მუწუკები თავდა პირველათ მალიან აწვალებს პირუტყვებს, მერმე კი, ნელ-ნელა რბილდებიან ცომს დაემსგავსებიან და ტკივილი აღარა აქვთ, ასე, რომ კაცმა გაჭრას და ჩხვლიტოს, ან დაწვას ამითი პირუტყვი სრულებითაც არ შეწუხდება და არც შეიტყობს რასმე, მუწუკის თავი გაცივებულია.

2 მალიან ხშირათ მოსდება, რომ მუწუკი მალიან რომ გაიზდება, უცბათ გაქრება ხოლმე.

3 პირუტყვს რომ ციმბირის ჭირი დაემართება, მაშინვე შეეტყობა ავათ მყოფობა. მაჯა ჯერ მალიან მაგარი და აჩქარებული ქქნება, მერე კი მაჯის ცემა თითქმის გაუჩერდება, გულის მგერა ჯერ არ შეეტყობა, ბოლოს კი სულ რახარუხი გააქვს.

როდესაც პირუტყვს შიგნით ანტონის ცეცხლი გაუჩნდება *) მაშინ ყველა, ავათ მყოფობის ნიშნები უეცრად გამოაჩნდება. ჩვენ დავიწყოთ ამ რიგ ავათმყოფობიდან; ის იქნება მალე მკვლელიც და ხანგრძლივიც.

1 მალე — მკვლელი ჭირი რამოდენსამე საათს, და ხან და ხან რამოდენსამე მინუტის მეტს არ გასწევს ჩვეულებრივ. ეს მალე მკვლელი ავათმყოფობა გამოაჩნდებათ ხოლმე ყველაზე უფრო და უფრო ახალგაზდა და მაგარ პირუტყვებს და საშინლათ წყვეტს იმათ.

სიკვდილი რამოდენსამე მინუტს შემდეგ წააქცევს ავათ მყოფ პირუტყვს სანდახან მოსდება, რომ პირუტყვს ჯერ სიკვდილის მოსვლის ნიშნები გამოაჩნდება: მთელი ტანის სისუსტე, პირიდან სისხლი და ქაფის დენა და სისხლით შარდზე და გარეთ გასვლა. მაგრამ უმეტეს ნაწილათ პირუტყვს ეს ავათ მყოფობა უეცრათ ეტაკება. სარი რომ თავისთვის ბალახობდეს, და ეს ჭირი ეცეს, მაშინვე წააქცევს, დაიწყებს კრუნჩხვას, პირიდან დორბლის დენას და კვდება. ამ პირუტყვების სისხლი შავი და სქელია, ასე, რომ როცა სისხლის გამოსაშვებლათ იმათ მილებს გაუკვეთებენ, სისხლი არ გამოდის. სიკვდილს შემდეგ პირუტყვი საშინლად გაიბერება და მალე ლპება.

2) ხანგძლივი ციმბირის ჭირი. ეს ავათმყოფობა ზოგიერთ შემთხვევაში,—როცა პირუტყვი მთელი და მაგარია, გამოაჩნდება ამნაირათ: პირუტყვი დაიწყებს მხიარულათ ხტუნვას და რბენას, ამის შემდეგ იმას შეეტყობა ტანის მგერა, კუნთების შეთვსუწვა და დაკრუნჩხვა. თუ პირუტყვი სუსტია — ავათმყოფობა თითქოს სისუსტით დაიწყება: პირუტყვი ჩერდება, თავდაკიდებულია, ვითომც თავს რეტი დასხმია. ამ ორივე შემთხვევაში დანარჩენი ნიშნები ამგვარია: მაჯის ცემა მრიელ აუჩქარდება, იწყებს ფეთქვას, რომ რამდენიმე ნაბიჯიდან კაცს შეუმლიან გაიგონოს, სულის თქმაც აუჩქარდება, თვალები გადმოეჭიმებათ, ტუჩერს, ან ლაფშებს, ლურჯი ყვითელი ფერი დაედებათ; დედალი პირუტყვები, ცოტას იწველებიან, იმასაც მლაშე გემოსას და მრიელ მავნებელს. ამის შემდეგ ავათმყოფობის ნიშნები მრიელდება და მეორეს დღეს გამოუვა მუწუკი. სანდახან მოსდება, რომ ავათმყოფობის ნიშნები სუსტდებიან და პირუტყვები ვითომც რჩებიან, მაგრამ, რამდენსამე სანს შემდეგ ავათმყოფობა პირვანდელზე უფრო ეომეტებლათ გაძლიერდება.

ციმბირის ჭირი, გარეგანი მუწუკებით და სიმსივნით ეკიდება მომეტებულათ ბალახ—მჭამელ პირუტყვს და უფრო ხშირად იმ ადგილს გამოაჩნდებათ, სადაც პირუტყვის მგალი მის კანთან უფრო ახლოა. ამ გვარი ჭირიც რამოდენიმე ნაირია.

1) ენის ტკივილი ედება სხვებზე მეტად რქიანს საქონელს, რომელთაც უმეტეს ნაწილათ თავ და პირველი ნიშნები არ გამოაჩნდებათ ხოლმე. ამისთვის სადაც ციმბირის ჭირი გაჩნდეს დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული პირუტყვების მდგომარეობას, და როცა შეეტყოს, საჭმელში გაუმაძღრობა, თვალ ყური უნდა ადევნონ; შეიძლება მაშინ ის ციმბირის ჭირით იყოს ავათ. რომელ პირუტყვსაც ეს ავათმყოფობა დაემართება, ის პირუტყვი ხდება მოუსვენებელი, მადას ჰკარგავს და ფერსა. როცა ცოხნის, პირიდან გამოდის ქაფიანი ნერწყვი, პირი საშინლათ ელება, ენა უსივდება და გარეთ უვარდება მერე ენაზე გამოდის ხმიდის მარცვლის ოდენა ბუშტი, ამ ბუშტში არის ერთნაირ წყალი, რომელიც ჯერ უვეთელი ფერისაა, მერ მალე გაწითლდება, გალურჯდება და ბოლოს გაშავდე ბა. ამ ბუშტის გაზდა რამდენიმე საათში მოს დება, მერე, როცა ეს სულ დიდი შეიქნება უც

(. ამ ავათ მყოფობას სწავლაში ანტონის ცეცხლი, ანუ ცხელება ქვია.

გასკდება, იქიდან გამოვა ცხარე, მყრალი, წყალი რომელიც უეჭველია ენაზე გადაესხმება, და ამისგან გაჩნდება ძრიელ მალე გამრწყელებული ყამი, ასე რომ ძრიელ ხშირათ პირუტყვს, ნახევარი ენა მოვარდება ხოლმე. მერმე პირუტყვს ნერწყვის ყლაპვა გაუჭირდება სულის თქმაც ძრიელ უძნელდებათ, პირუტყვები თითქოს ყრუვდებიან, და რამოდენიმე საათის შემდეგ იხოცებიან.

2 ღორებსაც ჭირი პირში—აგრეთვე თავისებური ნიშნებით, უჩნდებათ. როდესაც პირუტყვებს პირში მუწუკი გამოყრის, ისინი ხდებიან რაღაც მოწყენილები და დაკარგილები, საშინელი, საწყალი ხმით ყვირიან და არც საჭმელს სჭამენ; თვალები ლურჯ ყვითელ ფრათ გადაექცევათ და პირიდან სამაგელი სუნი ამოდისთ. ცოტა ხნის მერე მუწუკი ჭირათ გადაექცევათ და რომელთაც ეს ჭირი დაემართებათ, ისინი უფრო ხშირათ იმ დღესვე კვდებიან და ძალიან მკირათ მოხდება, რომ მეორე დღემდი გასტანოს.

3) სიმსივნე უმეტეს ნაწილათ ზურგზე ანუ, გვერდზე გამოუათ—რქიან საქონელს და ცხვრებს. წინა მორბედი ნიშნები: გამოაჩნდებათ თრთოლვა. გასივებულ ალაგზე, ხან თმა აებურძგვება, ზევით აიწევა, თავის ელვარებას ჰკარგავს და შემდგომში ძრიელ ადვილათ ამოეგლიჯება-სიმსივნე ჯერ გაწითლდება, თითი რომ დააჭირო გათეთრდება, და პირუტყვსაც აწუხებს, რამდენისამე ხნის მერე გალურჯდება და აღარც შესაწუხებელი იქნება, ის გახდება რბილი, ცომას მსგავსი და ცივი, ეს რიგი სიბირი ჭირისა, ხან მოსარჩენია და ხან სასიკვდილო.

4) საყლაპავში სიმსივნე, რომლიდგანაც ყველა პირუტყვები დახრჩობით იხოცებიან.

5) სიმსივნე ყელში, ან კისრის ძვლებთან უმეტესი ნაწილი პირუტყვების განსაკუთრებით ღორები ამით იხოცებიან.

6) უკანა მილის ის ჭირი,—რქიან საქონლებს და ცხენებს ემართება—მთელი ტანისმგერა უკანიდან განავალიდან სისხლი ანუ სისლის ნაფრეწების გატანება და სანდასან მარტო სისხლზედაც დაწრეტა, უკანა მილი გაუსივდებათ და გადმოუბრუნდებათ.

7) მავნებელი კოჭლობა,—რქიან საქონლებში, ცხვრებში,—პირუტყვებს ამ შემთხვევაშიდაც აჩნდებათ ისვე საავათმყოფო მოვლინებანი, რომელნიც სხვა შემთხვევებში გარეგან სიბირის ჭირით ავათმყოფობაში ეტყობათ.

8) ფრინველებს ეს ჭირი გამოაჩნდება: რბილ ადგილებზე, თავზე. ანუ—წყლის ფრინველებს—ფეხის განზე.

საზოგადოთ ყველა ნაირ ჭირით, სიბირის ყამისგან, მკვდარი საქონელი ძრიელ ჩქარა სივდება, და საშინელი საზიზღარი სუნი უდის. უკან განავალი მილი გადმოუბრუნდებათ. ყველა ბუნებითს ტანის ნახვრეტებიდან, მაგ. პირიდან, თვალებიდგან, ცხვირიდან, ყურებიდან, საშოს მილიდან და უკან გასავლიდან შავი სისხლი გამოდისთ. გვამი დიდხამს არის თფილი და არ გაფიჩხდება.

სიბირის ჭირის გაჩენის მიზეზათ შემდეგი მიაჩნიათ:

1) ჩავარდნილ და ნოტიო ალაგს ძრიელ ცხელი ზაფხული, აგრეთვე ახალ ნაწვიმარზე ცხელი დღეები.

2) ალაგები, სადაც თიხა მიწიანი წყლები მომდინარეობენ, რომელნიც იმ ალაგებს გადაივლიან და დასტოვებენ იმის შემდეგ ტბებს და ჭაობებს. მართლაც რომ სიბირის ყამი ძალიან ხშირათ წყლის გადავლის მერე ჩნდება.

3) ადგილი, სადაც დიდი ტყე ახლად მოუჭრიათ. ეწევა ამ ჭირს ისე, როგორც პირველათ ხელ-ნახლები და ჭაობიანი და ჩავარდნილი საბალახოები.

4) ძრიელ სიცხეში პირუტყვების ბევრი ხედნა და შუადღისას მათი ყოფნა გაშლილს ალაგას.

5) დაგუბებული, დამპალი, დაობებული წყალი, რომელსაც აქვს მწვანე, ანუ სხვა რამე მისი მსგავსი ფერი და რომელშიდაც ადგია რამე მმოვრი ან დაუხველებიათ რამე მცენარე (კანაფი და სხვ., აგრეთვე ახლად გაჯერებული ჭის წყალი.

6) მავნებელი მცენარეები და ზოგი ერთ-ნაირი სოკოები.

7) ჭირის გადადება, რომელიც არის ერთი უმთავრესი მიზეზი, საქონელს ედება მაშინ, როცა პირუტყვები ერთმანეთს ლოკვენ, როცა ისინი სიბირის ყამიდან მკვდარ მმოვრს სჭამენ და სხვა და სხვ.

დასასრული სიბირის ჭირი უმეტეს ნაწილათ უბედურობაა. მალე მსვლელი ავათმყოფობა. თავდება სულეოგელთვის სიკვდილით, ხანგრძლივი კი შეიძლება რომ მორჩენით გათავდეს, ეს იმაზე ჰკიდია სად გამოუვა მუწუკი, ან სიმსივნე.

პირუტყვების ერთი მეორეზგან გადადებისგან დასახსნელათ საჭიროა რამოდენიმე საშაულება, და სახელდობრ: 1) უნდა მკაცრი ყურადღება იყოს მიქცეული პირუტყვებზედ, ესე იგი უნდა სწორეთ იცოდენ კარგათ მყოფი, ავათმყოფი, და დახოცილების რიცხვი, ყოველ დღეს უნდა დაათვარიელონ ისინი 2) კარგათმყოფი და ავათმყოფი პირუტყვები ერთათ არ უნდა დააყენონ· კარგათმყოფები მაშინვე უნდა გამოიყვანონ იმ სადგომიდან, სადაც ჭირი გაჩნდება, და ავათმყოფები კი იქ უნდა დასტოვონ 3) ავათმყოფ პირუტყვებს უნდა უვლიდენ საკუთარი მოსამსახურენი, რომელთაც არაფრის მიზეზით, არ უნდა ჰქონდეთ მისვლა-მოსვლა კარგათ მყოფ პირუტყვების მომვლელებთან, უნდა ჰქონდეთ საკუთარი ჭურჭელი, იარაღი და სხვა და სხვა.

ძრიელ მკაცრათ უნდა იყოს აკძალული, პირუტყვების გაყვანა იმ ალაგებიდან, სადაც ჭირია, იქ სადაც ჭირი არ არის; აგრეთვე უნდა იყოს აღკძალული, უჭიროთ ალაგებიდან პირუტყვების გატარება, იქ, პირუტყვებთან სადაც ჭირია 5) არ უნდა მიუშვან მაწანწალა პირუტყვები, რომლითაც ეს ჭირი გადაჰქვთ და გადმოაქვთ, მაგალითად მაწანწალა ძაღლებს და სხვა. ისინი მაშინვე უნდა დაიხოცონ. 6) მკვდარი პირუტყვები მაშინვე უნდა მიწაში ჩაფლან, რაც უფრო ღრმა მიწაში ჩაფლენ, ის რასაკვირველია სჯობიან. მაგრამ 3 არშინზე ნაკლები მიწის სიღრმე კი არ შეიძლება, რომ ჩაფლან. მერე ზედ უნდა დააყარონ გაუმლელი კირი 7) სადაც დახოცილს პირუტყვებს დაფლენ, ის ადგილი უნდა იყოს მოშორებული საბალახოზე, ან შეღობილი მაინც, უნდა იყოს, იმაზე ბალახობა არც მეორე წელიწადს შეიძლება. 8) სადგომები, სადაც ავათმყოფი პირუტყვები იყვნენ, უნდა ძალიან დაიწმინდონ. 9) ავათმყოფი პირუტყვები არ უნდა აბალახონ, მეზობელ სოფლების საბალახოებთან.

ექიმობა სიბირის ყამისა შეიძლება მხოლოდ-ბაშინ როცა ავათმყოფობა მოგვიანებულია და მუწუკები გარედან აქვს. ამ შემთხვევაში ძალიან სასარგებლოა, ბლომათ სისხლის გართმევა. სასმელათ მჟავე რამე უნდა ასვათ ორი ვედრა წყალზე ოცი კაპლი გოგირდ-მჟავა (*сѣрная кислота*)) ეყოფა. ამნაირი წყალი ავათმყოფ პირუტყვების გარდა კარგათ მყოფსაც უნდა დაალევინონ.—ამას გარდა იმათ უნდა დაალევინონ წყალში გაგეთებული ინგლისის მარილი (ნახევარი გირვანქა), გორჯილა (ერთი უნცი) ეს შერევა (ნახევარი უნცი) ღვინის მარილში (ერთი უნცს ფქვილში და თაფლში. როდესაც სატკივრები მოლპება მაშინ სმარობენ, კამფორტს, სკიპიდარს (აფთიაქშია). მაღლებისთვის. მაროხენ (*рвотный камень*), ღორებისთვის ღანძილას ძირს, (10 — 15 გრანამდი), აგრეთვე უნდა ასმარონ მჟავე საჭმელები: დამჟავებული რამე, შრატი, გვარჯილა ღვინის ქვის მარილი.

მუწუკების (*прищихъ*) მორჩენაში საჭიროა, რომ პირუტყვს მუწუკი მოაშორონ და ეწინააღმდეგონ მას

ქრება. ამისთვის სასარგებლო არის, რომ ისინი გაჭრან და ამოაგდონ დაწვით გახურებული რკინით ან ჯოჯოხეთის ქვით და სხვა ამისთანაებით, მაგრამ ისე რომ წაუმხდარი ხორცი არ დაშავდეს, როდესაც მუწუკი მაგარია, მაშინ ძრიელ, სასარგებლოა მისი გამორწყა ერთათ ქლორის კირით და ძმრით; როცა რბილია, მაშინ მისი მობანვა ძმრით და გარეულ სუნნელოვან ნივთიერებებით, ძალიან კარგია. ცუდ გვარი მუწუკები და მომკვდარი ნაწილები ღორებს და ცხვრებს, მცურავ ფრინველებს—ფეხებას კანი, სასარგებლოა, რომ სულ მოსჭრან და მონაჭერი ადგილი კი, ქლორის კირით და ძმრით მობანონ. მომკვდარი ნაწილები ტანზე გაეჭრებათ თანაქის კოვზით, ანუ დანით, რომლის მერე პირი გამოერეცხებათ ძმრით და ქლორის კირით.

როდესაც მუწუკი გაშავდება, მაშინ უნდა გაიჭრას და მერმე არომატის საშუალებები უნდა იხმარონ, რომ

თუ მუწუკმა დაიწყო გაშავება, მაშინვე გაიჭრას, და მერმე პიტნის წვნნით ძმრით ან მუხის კანის წვნით უნდა მობანონ. როცა მუწუკმა გაქვავება დაიწყოს, მაშინ სასარგებლოა, რომ მუწუკზე გამთბარი ქატო დაადონ; ამ შემთხვევაში შეიძლება, მუწუკი თავისით გაქრეს.

თუ მუწუკი უკანა მილშია, მაშინ როგორათაც შინაგანი საშუალებანი, ისე გარეგანიც საჭიროა. მაგალითად უნდა გაბანო ძმრით მუხის კანის წვენით და ქლორის კირით (აფთიაქში იყიდება).

***

თუ სიმსივნე თეფშის ოდენაა, მაშინ ის უნდა გაჭრა ათგან და გაბანო. ერთათ არეული 1 გირვანქა სკიპიდარით და ნახევარი უნცი კრეოზოტით (აფთიაქში) და ექვსი დღის განმავალობაში პირველ 2 დღეს (დღეში ორჯელ და უკანასკნელ ოთხ დღეს—დღეში ორჯელ). მაინც ყველა პირუტყვები, როგორც ავათმყოფი, ისე კარგათ მყოფიცა ყოველ დილა საღამოს უნდა დაიბანონ ქლორის კირით (ერთ ვედრა წყალზე ორი უნცი ქლორის კირი საჭიროა).

***

ამას დაუმატოთ ისიც, რომ ეს ავათმყოფობა ძალიან გადამდებია. ის ხშირათ ემართება ავათმყოფი საქონლის ნეხვიდგან. ეს ნეხვი დახოცილ პირუტყვებს უნდა ჩაატანონ მიწაში და უფრო უკეთესი იქნება, რომ ჭირით დახოცილ საქონელს დაჭრიდენ და ცეცხლზედ დაწვამდენ, ბოსელი სადაც დახოცილი საქონელი იდგა, ჯერ უნდა ძრიელ გაიწმინდოს და მერმე, იქ ქლორი აახრჩოლონ. ქლორი რომ გავაკეთოთ ასე უნდა მოვიქცეთ: 3 ნაწილი შავი მარგანცის (აფთიაქში იყიდება) პარაშოკი უნდა ჩავყაროთ ქოთანში და კარგათ აურიოთ, მერე იქ უნდა ჩავასხათ 2 ნაწილი გოგირდ მჟავა (*сърн. кислота*), 2 ნაწილი წყალში გახსნილი. ყველაზე უფრო ადვილი ის იქნება, რომ ბოსელში ქოთნით ქლორის კირი დავდგათ.

***

ამასთანავე ბოსელის ნეხვიდგანაც შეიძლება გადადება, სადაც ავათ მყოფი საქონელი იდგება-ამისთანა ნაკელი საჭიროა, რომ დახოცილ საქონელთან მიწაში ჩაფლან, ან და ეს ყველას აჯობებს, რომ პირუტყვების ნაჭერ-ნაჭერათ აქციონ და ცეცხლზე დაწვან.

ბოსელში რომელშიდაც ავათმყოფი საქონელი იყვნენ, სასარგებლო არის, რომ—მის კარგათ გაწმენდისა ნაგავის მიწაში ჩაფლის მერე—ქლორი უხრჩოლონ.

# განცხადება

## «სასოფლო გაზეთის»

## ხელს მოწერა შეიძლება

თფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში დუბელირის (გ. წერეთლის და ამხანაგ.) სტამბაში, სასტისოვის სახლში, სერგიევსკის და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ დოდობერიძესთან, სილაზე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской и Сергіевской улиц д. Хатисова.

## ხელმოსაწერი ფასი:

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლის თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში — — — — — — — — — | გაუგზავნელათ. 3 მან. — — | გაგზავნით 4 მან. |
| ნახევარი წლის — — — — — — — | 1 მ. 50 კ. | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი, გვარი და ადგილ-სამყოფი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 марта 1871 г. დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა . რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.